საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 233-02
01/02/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის N1 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის N1 სხდომის ოქმების გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N3591-02 ბრძანების, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის N3591-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რექტორის 2019 წლის 18 იანვრის N73-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 ნოემბრის N12 და 2019 წლის 30 იანვრის N1 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2019 წლის 1 თებერვალს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის შედეგი და **განათლების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეული იქნას **მანანა რატიანი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი